



ეთიკის კოდექსი

საქართველოს ტურიზმის ასოციაციის წევრებისთვის



თბილისი, საქართველო

საერთო დებულებები

ჩვენ, საქართველოს ტურიზმის ასოციაციის წევრები ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას ქართული თუ უცხოური პარტნიორის და, ჩვენი მომხმარებლების მიმართ, ვიმოქმედოთ და წავრმართოთ ჩვენი სამეწარმეო საქმიანობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ეთიკის ნორმების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიზნად ვისახავთ ხელი შევუწყოთ საქართველოში ისეთი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც ეთიკური ბიზნეს ქმედება იქნება დაფასებული და ბიზნეს გადაწყვეტილებათა მიღების ძირითადი საფუძველი გახდება.

კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა, ახალი ფასეულობების დამკვიდრება და წევრებს შორის შიდა ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესება დადებით გავლენას მოახდენს ასოციაციის საქმიანობაზე, ბიზნეს გარემოზე და გააუმჯობესებს ქართული კომპანიების იმიჯს პარტნიორებს შორის, ასევე ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს საქმიან წრეებში ბიზნესის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ასოციაციის ყველა იმ წევრისთვის, რომელსაც სურს პასუხისმგებლური კორპორატიული ქცევის მქონე პირის რეპუტაციით წარსდგეს ქართული საზოგადოების წინაშე,

ძირითადი ფასეულობები

ეთიკის კოდექსი ეფუძვნება შემდეგ ფასეულობებს

- **ანგარიშვალდებულება**- საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის უნარი
- **კეთილსინდისიერება** -დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისასა
- **სამართლიანობა** - ყველა ურთიერთობაში
- **პატიოსნება და ერთიანობა**- პატიოსნება, გუნდის ერთიანობა, აღებული ვალდებულებების შესრულება
- **გამჭვირვალობა**- ღიად მოქმედება და ინფორმაციის გაზიარება
- **სანდობა**- საკუთარი ქმედებებით ნდობის და საიმედოობის რეპუტაციის ჩამოყალიბება

აღნიშნული ფასეულობები ეხება ბიზნეს ურთიერთობებს და წარმოადგენს ყველა ბიზნეს ურთიერთობის საფუძველს.

1. ბიზნესი და მომხმარებელი

ეთიკის კოდექსის ფასეულობებს წევრები იყენებს იმ ქმედებებში, რომლებიც გავლენას ახდენენ ასოციაციის საქმიანობაზე და ზოგადად საზოგადოებაზე; ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებებს; სთავაზობს უსაფრთხო სერვისს და მოქმედებს კანონის ფარგლებში.

2. ბიზნესი ბიზნესთან

წვერი კომპანიები ერთმანეთთან ურთიერთობებში ეყრდნობიან ეთიკის კოდექსის ფასეულობებს, იცავს სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, ზრუნავს ინფორმაციის კონფიდენციალობაზე და პატივს სცემს ბიზნეს ურთიერთობების უზენაესობას.